# ჩანგი

№ 11

ხუთშაბათი, 16 ივლისი 1909 წ.

გაზეთის ფასი: ქალაქ გარეთ: წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. 50 კ., ერთი თვით—90 კ. თფილისში: წლით 7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან. 20 კ., ერთი თვით—80 კ. ... ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапань", Калистрату Константиновичу Цуладзе.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ჩანგი

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

გაზეთის ფასი:

როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან.

ქალაქ გარეთ: 3 თვით—2 მან. 50 კაპ. 1 „ — 90 „

თფილისში: 3 თვით—2 მან. 20 კაპ. 1 „ — 80 „

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან

ცალკე ნომერი ყველგან— ერთი შაური

ფულის გამოსაგზავნი ადრესი:

Тифлисъ, тип. „Сорапань", Калистрату Конст. Цуладзе.

## პროვინციის ჟურნალ-გაზეთების გამყიდველთა საყურადღებოთ.

მიუხედავათ მრავალჯერ გაფრთხილებისა ზოგიერთი აგენტები თავის დროზედ გაყიდულ ჟურნალ-გაზეთების ფულს არ გზავნიან და ამ რიგათ რედაქციები დანიშნულ დროზე ფულს ვერ ღებულობენ. უკანასკნელათ ვაცხადებთ აგენტების საყურადღებოთ, რომ ვინც თავის დროზე, ესე იგი, წინდაწინ ფულს არ გამოგზავნის მას აუცილებლათ გაზეთის გზავნა მოესპობა და აგენტურა სხვა პირს გადაეცემა.

„დროების", „ჩანგის" და „ზაკავკაზიეს" რედაქციები.

აგენტურის გამგე მ. გაჩეჩილაძე.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, Т-во „Сорапань" М. Гачечиладзе.

## აბასთუმანში

კბილის ექიმი

სამსონ ვაშაყმაძე

იღებს ავათმყოფებს ყოველდღე მარიამობისთვის გასვლამდე. დაჩა ტერ-მარკაროვისა № 42.

გაიხსნა ახალი

თფილისის

## კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

ექ. ი. გ. ფიდოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

ექ. გ. ლამბაშიძე: ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყშელის, ცხვირის და ყურის ავათყ.

ექ. ბ. მ. მაკაროვი: შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

ექ. ი. გომართელი: ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—2½ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური განყოფილება 30 საწოლით. 100—12

## დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნი მ. დ. ფულარიას თაოსნობით იხსნება 4 კლასიანი კერძო საქალებო

## პროგიმნაზია.

გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 15 აგვისტოდან, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბრიდან. 26—26.

## ჭიათურის

საქალებო პროგიმნაზიაში

რომელშიაც სექტემბრიდან მესამე კლასიც იხსნება, მიიღება მოსწავლეები 25 აგვისტოდან ყველა კლასებში. 10—8.

## დ. სამტრედიაში

საექიმო კაბინეტი ქირურგიულ ავათმყოფთა ამბულატორიით. ექიმი ი. ეგნ. ჯაში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

## ქ. ფოთში

ქ-ნ ნ. ბ. ლოლუას თაოსნობით

იხსნება

ქალების კერძო პროფესიონალური სკოლა, სადაც გარდა სხვადასხვა ხელობისა ქალიშვილებს ასწავლიან რუსულს, ქართულს და ანგარიშს. გადასახადი, მოწაფების სასიამოვნო და ყველასათვის ხელმისაწვდომია. (10—2)

## თფილისი, 16 ივლისი

ამ დღეებში გამოქვეყნდა სენატის რეზოლიუცია თფილისის გუბერნატორის ლოზინა-ლოზინსკის შესახებ.

როდესაც ამ რეზოლიუციას კითხულობ, გიკვირს, რა სასტიკათ ეპყრობა სენატი ბ. ლოზინსკის იმისთვის, რომ მან „უკანონოთ" დააპატიმრა გაზეთ „გოლოს კავკაზა"-ს სამეურნეო ნაწილის გამგე ფილიპიშინი. სენატი, რომელიც განთქმულია მთელ რუსეთში თავისი „რაზიასნენიებით", რომელიც საერთოთ რომ ვთქვათ, იარაღია შინაგან საქმეთა მინისტრის ხელში, დღეს გამოდის და საქვეყნოთ იცავს პიროვნების უკანონოთ ხელშეუხებლობას, იცავს თვით კანონს და მის პრინციპებს, ნიშნავს ამის შესახებ ვრცელ გამოძიებას და მოსალოდნელია პასუხის-გებაშიც მისცეს „კანონის დამრღვევი" გუბერნატორი. რა მოხდა? განა სენატმა მიიღო მიუდგომელი ნემეზიდის სახე, მან ზურგი შეაქცია შინაგან საქმეთა სამინისტროს და უარყო მის იარაღათ ყოფნა?

ამიერიდან უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ის სასტიკი და მიუდგომელი მცველი იქნება კანონის და კანონიერების? ამის იმედი, საუბედუროთ, ძლიერ ცოტა გვაქვს და სენატის თავგამოდების სარჩული უნდა ვეძიოთ სულ სხვაგან. „გოლოს კავკაზა" თფილისის პატრიოტული საზოგადოების ორგანოა, მათი სულისკვეთების და მისწრაფებათა გამომთქმელია. გაზეთის სულის-ჩამდგმელნი, როგორც ნაწერებიდან ჩანდა, არ იყვენ კმაყოფილი ნამესტნიკის „ლიბერალური" მოქმედებით, არ იყვენ კმაყოფილი თვით გუბერნატორით და სხვა ზოგიერთ მოხელეებით და ამიტომაც დაიწყეს მათი ხსენება გაზეთში ყოვლათ უწმაწური ენით. ამ ნიადაგზე აღმოცენებულ უთანხმოების გამო, უნდა ვიფიქროთ, მოხდა ბ. ლოზინსკის მიერ დატუსაღება ფილიპიშინის და მისი ერთი დღით ციხეში დამწყვდევა. ამას ვერ აპატიებდენ „პატრიოტები" გუბერნატორს და კიდევაც მიაღწიეს მიზანს: გუბერნატორს „უკანონო მოქმედებისთვის" სენატი პასუხს სთხოვს და პასუხის-გებაში უპირებს მიცემას. აქედან რა გამოდის? არა ის, რომ სენატი კანონის მოსარჩლეა, არა, ის მოსარჩლეა „პატრიოტის" ხელშეუხებლობის და კანონი კი მხოლოდ შირმაა და მეტი არაფერი, აქ პრინციპი კი არ მოქმედებს, არამედ „პატრიოტების" მფარველი პირების პატივისცემა.

განა რუსეთში ცოტაა ისეთი შემთხვევები, როცა გუბერნატორები ყოველგვარ კანონს ფეხქვეშ თელავენ, კანონის ადგილზე თვითნებობას მოუკალათებია, ეს იყო „კონსტიტუციამდის" და არის „კონსტიტუციის" დროსაც. მოიგონეთ ვიატსკის გუბერნატორის მოქმედება: როცა გლეხებს „სტრაჟნიკები" მათრახებით ხელში ახდევინებდენ გადასახადებს, რამდენს დაუმტვრიეს ცხვირი და პირი, რამდენი დაასახიჩრეს; განა პასუხისგებაში მისცა ის სენატმა? სად მიიმალა კანონი და მისი დაცვა, სად გაქრა პიროვნების ხელშეუხებლობა? თუ ეს მაშინ არის, როცა ფილიპიშინებს ეხება საქმე და როცა გლეხებს—მაშინ კი კანონს სძინავს!

ჩვენში განა ამის მაგალითები ცოტაა? აიღეთ „ჩანგის" მერვე ნომერი და გადაიკითხეთ კორესპონდენცია გურიიდან, მაშინ იტყვით, რაც ახლა ხდება, ამის მსგავსი არაფერი არ ყოფილა თვით პლევეს დროს. მაშინ ბევრათ უფრო მეტი მორიდება ჰქონდა ადმინისტრაციის მსხვილს და წვრილს წარმომადგენელს ხალხის, ვიდრე დღეს აქვს.

განსაკუთრებულმა წესებმა ისეთნაირათ გარყვნა მოხელეები, რომ მათთვის არავითარი ფარგლები აღარ არსებობს, ისინი მოქმედებენ როგორც თვითმპყრობელნი. ამით აიხსნება ჩოხატაურის ნაწილის ბოქაულის ივანსუკის, მეტი რომ არა ვთქვათ, თავაშვებული მოქმედება. ის ყოვლად უდანაშაულო ადამიანს, ყანაში მომუშავე ასათიანს, ჩაფრებს აცემინებს და მერმე თავის დანაშაულს ჩაფრებს აბრალებს.

აბა ვნახოთ, რამდენათ გამოიდებს თავს ამ უკანონობისთვის უმაღლესი ადმინისტრაცია? იმისგანაა დამოკიდებული ბოქაულის ბედ-იღბალი, მაგრამ, ვაი თუ მთავრობის პრესტიჟის ხალხის თვალში დაცემამ ძალა დაატანოს და ძველებურათ საქმე მივიწყებას მისცეს.

სულ სხვაა ყანის მუშა ასათიანი რომ „პატრიოტი" იყოს. მაშინ მას იცნობდენ დუბროვინები, მაშინ სასტიკი გამოძიება დაინიშნებოდა და კანონის დამრღვევი დაისჯებოდა.

რუსეთში ჯერ კიდევ არ დამდგარა ის ხანა, როცა მოქალაქის პიროვნება ხელშეუხებელია, როცა მოქალაქეს შეუძლია კანონს დაეყრდნოს და მისი სახელით მთავრობის აგენტს და მის უკანონო ბრძანებას არ დაემორჩილოს, ამისათვის კი, პასუხის გებას აცდეს.

საუბედუროთ უნდა ვსთქვათ, რომ რუსეთის Habeas corpus act (პიროვნების ხელშეუხლებლობა) არსებობს მხოლოთ ფილიპიშინებისთვის და არა რუსეთის მოქალაქისათვის საერთოთ.

## რევოლიუცია სპარსეთში

დეპეშები.

(პეტ. დეპეშ. სააგენტოსაგან)

14—15 ივლისი.

**თეირანი,** მეჯლისის არჩევნები დანიშნულია—24 ივლისს.

**ლონდონი.** რეიტერს თეირანიდან ატყობინებენ: მთავრობამ თანხმობა განაცხადა დაუნიშნოს ყოფილ შახს დღიური პენსია ხუთი ათასი გირვანქა სტერლინგი, იმ პირობით, რომ ის დაუყონებლივ გავა სპარსეთიდან.

**თეირანი.** რადგან შირზიდან საშიში ხმები მოდის, ინგლისის ელჩმა ბუშირიდან 45 კაცი გაგზავნა ერთი ტყვიის მფრქვეველით შირაზში ინგლისის საელჩოს „კონვოის" გასაძლიერებლათ.

**კელნი.** „კელნიშე ცაიტუნგს" დეპეშით ატყობინებენ თეირანიდან, რომ რეაქციის მეთაურნი სამართალში მისცესო.

(გაზეთებიდან).

**რამდენი ზარალი ნახა რუსეთმა სპარსეთის რევოლიუციის დროს.** სპარსეთის რევოლიუციის დროს რუსეთის ქვეშევრდომთ დიდი ზარალი მოუვიდათ. ჯერ გამორკვეული არ არის დაწვრილებითი ანგარიში. მარტო ტელეგრაფის და ტელეფონის გაფუჭებით ზარალი მოსვლიათ 20,000 მანეთი. თავრიზის გზაზე ტელეგრაფის გაფუჭებით 11,500 მან.

**ძველი შახის ბიძა.** ძველი შახის ბიძა, ზილლი სალტანე, რომელიც ამ ჟამათ ვენაში იმყოფება, კიდევ იმედს არ კარგავს, რომ თუ ტახტი არა, რეგენტობა მაინც ჩაიგდოს ხელში. მას იმედი აქვს თავის მომხრეების, რომლებიც მის სასარგებლოთ აგიტაციას ეწევიან. მისი სპარსეთში დაბრუნება დამოკიდებულია მდგომარეობის მსვლელობაზე.

**ძირითადი კანონების შეცვლა.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, ახალი მეჯლისი და სენატი მოქმედების დაწყებისათანავე შესცვლის ძირითად კანონებს. დეპუტატთა რიცხვი მეჯლისში 250-ს მაგიერ 200 იქნება. კონსტიტუციის თანახმათ სენატში 60 სენატორი იქნება, ერთი ნახევარი ახალგაზდა შაჰის დანიშნული იქნება, ხოლო მეორე ნახევარი არჩეული. თეირანი გზავნის სენატში 15 სენატორს, დანარჩენი პროვინციებიც 15-ს.

**როდის წავა შაჰი რუსეთში.** როგორც გაზეთ „ბაკუს" საკუთარ კორესპონდენტს გაუგია. ყოფილი შაჰი 20 ივლისს გაემგზავრება რუსეთში. დროებით ის ფეოდოსიაში დარჩება.

**ახალგაზრდა სპარსელთა პირველი პროკლამაკია.** 13 ივლისს თეირანში პირველათ გამოვიდა ახლად შემდგარ ახალგაზრდა სპარსელთა პარტიის პროკლამაცია. პარტიის პროგრამას ამ დღეებში გამოაქვეყნებენ.

**პენსია ყოფილ შაჰს.** ყველა ერთა კომიტეტების კრებამ დაადგინა დაენიშნოს ყოფილ შაჰს ყოველწლიური პენსია 45,000 მანათი, სამაგიეროთ, შაჰმა უნდა დააბრუნოს ყოველივე განძეულობა. რუსეთის და ინგლისის მისიებმა საკმარისათ ვერ სცნეს ეს თანხა და სთხოვენ კიდევ მოუმატონ და განძეულობის დაბრუნებას მხარს დავუჭერთო.

**გაფრთხილება რეაქციონერებს.** ნაციონალურმა კრებამ გააფრთხილა ემირ-მოფაკ-ამი, რომ უკეთუ მან თავი არ დაანება ახალ წესწყობილების წინააღმდეგ აგიტაციას, სახრჩობელა არ ასცდება.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14—15 ივლისი.

**რუსეთი**

**ბაქო.** სამხედრო სასამართლომ კაზარიანცს, რომელმაც 12 მარტს ცეცხლ მოკიდებული ფიტილიანი ყუმბარა შეაგდო ვაჭარ აბრამიანცის სახლში 10 წლის კატორღა მიუსაჯა. ამასთანავე შუამდგომლობა აღძრა შეუმსუბუქონ სასჯელი.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 59, მოკვდა 19, ავათ არის 733.

**არხანგელსკი.** ხოლერით ავათ გახდა 6, მოკვდა 3.

**რეველი.** ქალაქში მღებავთა საერთო გაფიცვა გამოცხადდა. მოთხოვნები არ არის გამორკვეული.

**ვლადიმირი.** მელენკოვის მაზრაში ხოლერით ავათ გახდა 2.

**რიგა.** ხოლერით ავათ გახდა 3, მოკვდა 2.

**რეველი.** ხოლერით ავათ გახდა ერთი.

**იაროსლავი.** რიბინში ხოლერით ავათ გახდა 5. რეველში 1.

**საზღვარ-გარეთ.**

**ალექსანდრია.** (იტალია) ქალაქის განაპირას, სადაც შეკრებილი იყო 200 კაცი სახლი დაინგრა. საშველათ მოსულმა ჯარმა ნანგრევებიდან 30 ამოიყვანა, მათ შორის 6 მძიმეთ დაშავებული. დანარჩენნი მსუბუქათ არიან დაშავებულნი.

**მადრიდი.** (ისპანია) საბადელიდან მიღებულ ოფიციალურ ცნობების თანახმათ მაროკკოზე გალაშქრების საპროტესტოთ მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს, შეიჭრენ რკინის გზის სადგურში და ხელი შეუშალეს ბარსელონაში მატარებლის გაგზავნას. რკინის გზის ლიანდაგზე აჰყარეს „რელსები", დასჭრეს ტელეფონის და ტელეგრაფის მავთულები. სამხედრო ძალის დახმარებით რკინის გზა შეაკეთეს. მატარებელი გაგზავნეს, მარა ის გზიდან დაბრუნდა, ვინაიდან რკინის გზაზე „რელსები" კვლავ აყრილი აღმოჩნდა. მთელ ბარსელონას პროვინციაში საალყო წესები გამოცხადდა.

**მადრიდი.** მელილიდან ოფიციალურათ იტყობინებიან, რომ სურსათის მატარებელს გორნოზიედის გზაზე თოფები დაუშინეს. ათ ივლისს ბრძოლაში ისპანელებმა დაჰკარგეს 300 კაცი.

**რომი.** ბენასხირის გუბერნიტორი იტყობინება დეპეშით, რომ მოხალლიმ იზმაილის ტომის ხალხს უნდოდა დაეწვა უარშეიკი. იტალიის რეზიდენტის მიერ უარშიკში შეიხ-უსეინის ტომის წინამძღოლის დაჭერის გამო შეტაკება მოხდა. აჯანყებულებს მოუკლეს 45 და დაუჭრეს 20. სამი ტყვეთ ჩაუვარდა ჯარს, მათ შორის წინამძღოლის შვილი. იტალიელებს მოუკლეს 5 კაცი.

**სერბერი.** ისპანელი დეზერტირები გამორბიან აქ. ბარსელონიდან იტყობინებიან, რომ 13 ივლისს გუბერნატორი სამსახურიდან გადადგა. ქალაქის მრავალ ნაწილებში შეტაკებები მოხდა. დაიჭრა რამდენიმე კაცი. ტრამვაის ორი ვაგონი გადააბრუნეს, რკინის გზის ლიანდაგი აჰყარეს. აქაური გარნიზონი დახმარებას ელის.

**პარიჟი.** გავასს ატყობინებენ ბარსელონიდან, რომ საყოველთაო გაფიცვის გამო მოხდა შეიარაღებული შეტაკება. მოკლეს ჟანდარმის როტმისტრი., სამი ჟანდარმი და 8 მანიფესტანტი. დაიჭირა 21 კაცი.

**საიგანი.** 13 ივლის საფრანგეთის ახალშენის ჯარს და ადგილობრივ მცხოვრებთ შეტაკება მოუვიდათ. მოჰკლეს კაპიტანი და 10 სალდათი დასჭრეს 20 კაცი. ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოკლულია 40.

**პარიჟი.** პარლამენტში წაკითხულ დეკლარაციით ახალი კაბინეტი აცხადებს, რომ განზრახვა აქვს მშვიდობიან პოლიტიკას დაადგეს, რეფორმის და პროგრესის გზით წავიდეს. ის ეცდება დაიცვას საფრანგეთის მეგობრული დამოკიდებულება. თავის მოვალეობით რაცხს, რომ საფრანგეთის უფლებებს პა-

ტივი სცენ, ეცდება დაიცვას საერთაშორისო მშვიდობიანობა დი ამიტომ წინანდელი სამინისტროს პოლიტიკას განაგრძობს. ეს პოლიტიკა მუდამ ხელს უწყობდა საფრანგეთს ნდობა მოეპოვებია და თავისი ავტორიტეტით ემოქმედა საერთაშორისო უთანხმოების მოსასპობათ. შემდეგ აცხადებს, რომ მთავრობა უპირველეს ყოვლისა ეცდება ბიუჯეტი მიღებულ იქნას. სოციალური მხრით ეცდება ცხოვრებაში გაატაროს კანონი მოხუცებულთა უზრუნველყოფის შესახებ, საკანონმდებლო დროის განმავლობაში, შემდეგ ეცდება შეიმუშაოს სოციალური ზომების ვრცელი პროგრამა დაზღვევის შესახებ და ეს კანონი გავრცელებულ იქნება სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეებზედაც. მთავრობა ენერგიულათ დაიცავს სენატში შემოსავალზე გადასახადის კანონ-პროექტს, საარჩევნო რეფორმის შესახებ გამოითხოვს პალატისაგან ნებართვას არჩევნების პროპორციონალურ სისტემის შემოღებას, მოითხოვს, მიღებულ იქნას მოხელეთა სამსახურის შესახებ წესდება, განაგრძობენ საერო განათლების რეფორმას, ხელს შეუწყობს ახალი გზების გაყვანას, წინადადებას შეიტანს სადამოჟნო ტარიფის განხილვის შესახებ. დეკლარაცია თავდება განცხადებით, რომ მთავრობას განზრახვა აქვს მოახდინოს დემოკრატიის ორგანიზაცია.

**სტოკჰოლმი**. რადგან მკერავ საამშენებლო, ქაღალდის და სხვა წარმოების ქარხნებში ხაზეინებსა და მუშებ შორის უთანხმოება მოხდა, ხაზეინებმა ლოკაუტი გამოაცხადეს. უალაგოთ დარჩა 13,000 მუშა.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**სიკვდილით დასჯილები**. ექვს ივლისს სასამართლოს განჩინებით სიკვდილით დასაჯეს 13 კაცი.

დერვიშ ვედეტი, „ოსმალთა კავშირი“-ს დამაარსებელი. ის ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო 30 მარტს „პერევოროტის.“ მას აბრალებენ, რომ ის აქეზებდა ეცემნათ ახალგაზრდა ოსმალთა აფიცრებისთვის. გენერალი იუსუფ-ფაშა, მეშვიდე არმეისკი კორპუსის უფროსი. მას აბრალებენ, რომ სომხების დარბევისთვის აგიტაციას ეწეოდა. ამის შედეგი იყო მერსინის და ადანის ამბები. იუსუფ-ფაშა აქეზებდა სალდათებს დაეხოცათ სომხები, როგორც ოსმალეთის რევოლიუციის გამომწვევნი. დარბევის დროს იუსუფ-ფაშა ორჭოფ როლს თამაშობდა. სომხებს, რომლებიც მას მიმართავდენ საშველათ, ისეუბნებოდა, რომ არაფერი არ შემიძლია, რადგან ჯარი არა მყავსო. იუსუფ-ფაშა ერთი ერთგულ მომხრეთაგანი იყო აბდულ-ჰამიდის. 31 მაისს მან საიდუმლო ბრძანება მიიღო: მიუსიე ოსმალები სომხებსო. ჩერკეზ-ფაშა, აბდულ-ჰამიდის საყვარელი, მისი გენერალ-ადიუტანტი. მისი ბრძანებით კლავდენ ახალგაზრდა ოსმალთა აფიცრებს.

დანარჩენი დასჯილები მეორე ხარისხოვანი მოღვაწეები იყვენ „პერევოროტის“ დროს.

**ბერძნების დაჭერა**. ხმები გავრცელდა, რომ ბრძანება გასცეს დაიჭირონ კოსოვსკის, სალონიკის და მონასტირსკის ვილაიეტში ბერძენთა საეჩოს ყველა მდივნები.

### რუსეთი

**ბერი ექსპროპრიატორი**. როგორც უკრაინის გაზეთი „რადა“ იტყობინება, კიევო-პეჩორის მონასტრიდან ამ რამდენიმე ხნის წინათ გაქცეულა ბერ-მონაზონი ალექსანდრე, თან წაუღია რამდენიმე ათი ათასი მანათი. ბერმონაზონი ერთ ახალგაზდა ქალთან ერთათ საზღვარგარეთ წაბრძანებულა, ამ ამბავს დღემდე არვის არ უმხელდენ.

**რევიზიის შედეგი**. სატუსაღოების რევიზიის შემდეგ სასურველათ უცვნიათ შემდეგი ცვლილებები იქნას შეტანილი.

1) მიემატოს ჯამაგირი სატუსალოთა ადმინისტრაციას.

2) ტუსაღების გადაგზავნის დროს მცველთა რიცხვის გაძლიერება.

3) სატუსაღოების რემონტი და რიცხვით გამრავლება.

4) ყოველ სატუსაღოებთან „პატრონატის“ დაარსება და იმისთვის განსაკუთრებული პროგრამის შემუშავება.

**ბაასი. გარტინგთან** გაზეთ „რეჩი“-ს თანამშრომელს უნახავს გარტინგი და უბაასნია მასთან. გარტინგს უთქვამს, რომ ის წინათ ლანდეზენი იყო, მაგრამ უარს ყოფს იმ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობას მიღებას, რომელსაც მას აბრალებენ. მან განაცხადა, რომ აზეფი ეხლა რუსეთშია და „საქმეზეც არისო“.

**საბჭოს წევრი პროვოკატორი**. გაზეთ „გოლოს მოსკვი„-ს ატყობინებენ, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრი, რომელსაც ბურცევი პროვოკატორობას აბრალებს, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი დურნოვო ყოფილა. (კასპი)

**ლოპუხინის საქმის ხელ-ახლა განხილვა**. ბიუროკრატიულ წრეებში დანამდვილებით ამბობენ, რომ ლოპუხინის საქმეს ხელ-ახლა განიხილნვენ, რადგან გარტინგი ლანდეზენის ამბის გამომჟღავნებამ ახალი საბუთები წამოაყენა.

### უცხოეთი

**გაფიცვა ლონდონის სატუსაღოში**. ლონდონის სატუსაღოში ჩასვეს სუფრაჟისტკა, ქუჩაში უწესოების მოხდენისათვის. მან პროტესტი განაცხადა, რომ ციხის ადმინისტრაცია მას სისხლის სამართლის ტუსაღათ სთვლის და არა პოლიტიკურათ. პროტესტმა ვერაფერი უშველა. მაშინ სუფრაჟისტკამ შიმშილობა გამოაცხადა. ციხის ადმინისტრაცია ისე შეაშინა ამ ამბავმა, რომ დაუყონებლივ გაანთავისუფლეს ტუსაღი ქალი. გაზეთები ამბობენ, რომ ინგლისში გადმოიტანეს რუსეთის პროტესტის საშუალებაო.

**შეკითხვა გარტინგის შესახებ ბელგიის პარლამენტში**. ბრიუსელიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ვანდერველდემ შეკითხვა წარუდგინა მთავრობას გარტინგის შესახებ. მინისტრ-პრეზიდენტი ამტკიცებდა, რომ გარტინგი და ლანდეზენი ერთი და იგივე პირი არ არის. ერთად-ერთი სამსახური გარტინგს მით გაუწია ბელგიამ, რომ მისი ბინა არ ყოფილა აღნიშნული წიგნებში. ამიტომ მინისტრს არაფერი არ შეუძლია სთქვას ამ საქმის შესახებ. ვანდერველდემ აღნიშნა, რომ ბელგიის მთავრობა არაფერ ზომებს არ ღებულობს უცხო სახელმწიფოთა ჯაშუშების წინააღმდეგ და აღუთქვა, რომ ახლო მომავალში წარუდგენს პარლამენტს რუსეთის ჯაშუშთა სიას, რომლებიც ეხლა ბელგიაში იმყოფებიან და რომლებიც უნდა დაუყონებლივ გაძევებულ იქნან. მინისტრმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია მათ წინააღმდეგ ძალა იხმაროს, რადგან არავითარი დანაშაული არ ჩაუდენიათო.

**გარტინგის „ფოკუსი“**. შტეტინიდან იტყობინებიან, რომ კენისბერგის პროცესის დროს გარტინგს შემდეგი ფოკუსი გაუკეთებია. მას უნდოდა დაეჭირა რეიხსტაგის ს.-დემოკრატ დეპუტატის გერბერტის და რუს რევოლიუციონერების მიწერ-მოწერის ქაღალდები. ამ მიზნით მას შტეტინში გაუკეთებია ყალბი დოკუმენტები და განზრახვა სისრულეში მოუყვანია.

**ბურცევს მოკვლას უპირებენ**. ჟორესი იტყობინება, თითქო რუსეთიდან პარიჟში მისულან „კავშირის“ რამდენიმე წევრები, სპეციალური მიზნით, რომ ბურცევი მოკლან. ბურცევს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის მიუმართავს—დამიცვეთო.

# ბერთა სიეზდი

1909 წელი მდიდარია სხვადასხვა სიეზდებით. მოხდა წიგნების გამომცემელთა, ლიტერატორთა, რეჟისორთა და სხვათა სიეზდები. ამათ ბოლოს არც ბერები ჩამორჩენ და მათი სიეზდიც უკვე გაიხსნა. სიეზდს მარტო „შავი სამღვდელოება“ ესწრება. დანარჩენებს, „თეთრ სამღვდელოებასაც“ კი არ უშვებენ, ერის კაცებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. სიეზდის სხდომები დახურულ კარებში ხდება. სიეზდის გახსნისას პირველათ სიტყვა წარმოსთქვა მიტროპოლიტმა ვლადიმერმა. ბუნებას ის არ დაუჯილდოვებია მჭევრმეტყველობით და თავის ქადაგების წაკითხვას მუდამ სხვას ანდობდა. ამ ხელათ, რადგან თავის თანამოძმეებთან გრძნობდა თავს, თვით წარმოსთქვა სიტყვა. თავის სიტყვაში მან აღნიშნა მთავარი მომენტი რუსეთის ბერთა ცხოვრებაში და ის, თუ რა უნდა გააკეთოს სიეზდმა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ნიკონმა. ის შეეხო უმთავრესათ მონასტრებში საზოგადო საცხოვრებელ წესების შემოღებას. მის სიტყვას მწყრალათ შეხვდენ. როგორც გამოირკვა, ამ დროს უკვე მზადდებოდა პროტესტი, რომელიც შემდეგ გამომჟღავნდა.

კიდევ უფრო მწყრალათ შეხვდენ სკვორცოვის სიტყვას. სიეზდი ძალიან უკმაყოფილოა რომ ერის კაცი დაუშვეს სიეზდზე. (სკვორცოვი სინოდის ობერ-პროკურორის კანცელიარიის მოხელეა) ნუ თუ არც ჩვენ გვენდობიან და კანტროლს გვინიშნვენ? ნუ თუ ჩვენც „ჭრამოლნიკები“ ვართ? ისმოდა აქეთ იქიდან.

თუმცა სკვორცოვმა ტკბილის ხმით დაიწყო ლაპარაკი, რომ ამით მაინც მოეგო განრისხებული ბერების გული, მაგრამ ამათი უკმაყოფილება თან და თან მწვავე ხასიათს ღებულობდა.

კიდევ უფრო გამწვავა საქმე მიტროპოლიტ ვლადიმერის წასვლამ. სრულიად მოულოდნელათ 6 ივლისს ის წავიდა მოსკოვში და წასვლის დროს დაავალა ეფისკოპოს ევდოკიმეს თვალყური ადევნოს „სიეზდის მოქმედებას“ მის თავმჯდომარე ნიკონს.

ეს გაფრთხილება უსაფუძვლო არ გამოდგა. წავიდა თუ არა ვლადიმერი, ორი სამი საათის შემდეგ სიეზდზე მოხდა დიდი სკანდალი, რომელმაც თითქმის თავდაღმა დაანგრია სიეზდის პროგრამა.

ნიკონმა თავის სიტყვაში აღნიშნა იმ მონასტრების უპირატესობა, სადაც საერთო საცხოვრებლებია და წინადადება შეიტანა შემოღებულ იქნას ყველა მონასტრებში საერთო საცხოვრებელი.

ყოვლად სამღვდელოს სიტყვაზე სიეზდის ერთმა მონაწილემ მოკრძალებით განაცხადა, განა სასარგებლო იქნება, რომ გავაუქმოთ არა საერთო საცხოვრებლების წესები, რომელსაც რუსეთის ეკლესიის ისტორიაში თავის დამცველები ყავსო? ნიკონი არ მოელოდა ასეთ წინააღმდეგობას. ის აღელდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და განაცხადა, ვინც მისი წინადადების მომხრე იყო არ ამდგარიყო. შეატყვეს რა თავმჯდომარეს უკმაყოფილება, არავინ არ ადგა. წინადადება მიღებულიაო—განაცხადა ნიკონმა და შეუდგა ბერთა შორის გავრცელებულ ანგართ-მოყვარეობის აღმოფხვრის საკითხს. ამ კითხვასაც ის ცალმხრივათ შეეხო. მან ბრალი დასდო მორჩილებს, ბერ-მონაზნებს და მონასტრების წინამძღვრებს, რომ ისინი არიან ანგართ მოყვარე და ეფისკოპოზებზე და სხვა უმაღლეს პირებზე ერთი სიტყვაც არ სთქვა. ამან ზოგიერთები ძლიერ აადელვა. ყველაზე მეტათ აღშფოთდა ახალი ათონის წინამძღვარი არქიმანდრიტი იერონი.

— თუ საერთო საცხოვრებელი იქნება შემოღებული, მართლა უნდა შემოვიღოთ და არა ქაღალდზე. თუ საზოგადო საცხოვრებელი იქნება ყველასათვის თანასწორი უნდა იყოს. თუ მონასტერში თავი შეყო საპატიო პირმა და მდიდარმა, მისთვის წესდებას როგორც უნდა ისე ასრულებენ.

თუ საზოგადო საცხოვრებელი იქნება ყველასათვის თანასწორი უნდა იყოს, თანასწორი შრომა, თანასწორათ კერძო საკუთრების ხმარება, თანასწორი საჭმელ-სასმელი და ტანისამოსი, უბრალო ბერი იქნება ის თუ თვით ეფისკოპოზი.

აი, ჩვენი ახალი ათონი სამაგალითო საერთო საცხოვრებელი მონასტერია. მერე რატომ? იმიტომ, რომ არავის ჩვენგანს კერძო საკუთრება არა აქვს: არც მე, არც ბერ-მონაზნებს და არც მორჩილებს.

აი, ეს ანაფორა მაქვს მხოლოდ და არც ეს არის ჩემი, ესეც მონასტრის არის. ყველანი ერთად ვლოცულობთ, ერთათ ვსვამთ, ერთათ ვსჭამთ და ერთათ ვმუშაობთ. თუ საერთო საცხოვრებელი იქნება და ვინმეს უპირატესობა მიეცემა, უმჯობესია ისევ ძველებურათ დარჩეს ყველაფერი.

იერონის სიტყვამ ცეცხლს ნავთი დაასხა. მისი სიტყვის შემდეგ წარდგა ერთი ახალგაზდა ბერი, რომელიც მოსკოვის აკადემიაში სწავლობს და დაიწყო:

— თავმჯდომარე შეეხო ანგართ-მოყვარეობას, რასაკვირველია, ეს ბოროტებაა, მაგრამ არა მარტო უბრალო ბერისთვის, თვით ეპისკოპოზისთვისაც, რატომ გაილაშქრა ასე ნიკონმა მორჩილებზე, რომლებიც 2—3 მანეთით სარგებლობენ ყულაბიდან და არაფერი კი არა სთქვა ეფისკოპოზებზე, რომლებიც 20—40 ათას მანათს იჯიბავენ წელიწადში.

ან და ეს ანგართ-მოყვარეობა არ არის?

— რუსეთში არც ერთი ეპისკოპოსი არ იღებს ამდენს—გააწყვეტინა თავმჯდომარემ.

— რამდენს იღებს პეტერბურგის მიტროპოლიტი? მოსკოვის? განაგრძო ბერმა. ისინი 40 ათასზე მეტს ღებულობენ.

— მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები უმაღლესი პირნი არიან, მათთვის საჭიროა მეტი ქონდეს, სულ სხვა პირობებში უხდებათ ცხოვრება. ამიტომ დასაგმობი არაა, რომ მეტს ღებულობენ საძმო ფულებიდან დაიწყო ნიკონმა, მაგრამ რა დაინახა, რომ არ გასჭრა მისმა სიტყვებმა და საქმე ცუდ ხასიათს ღებულობდა სცადა სხვა გზით მოეარა საკითხისთვის. მან განაცხადა, რომ უმაღლესი ეპარქიები შეუზღუდველ უფლებით არიან აღჭურვილნი და არავის უფლება არა აქვს შეეხოს მის უფლებას. მათზე შეხება სახელმწიფოს წეს-წყობილებაზე შეხება იქნებაო. ბევრი არ შეუშინდა არც ამას.

— ეპისკოპოზების ანგართ-მოყვარეობა მილიონ მანათს უდრის, როგორც ამას ამბობს თავის მოხსენებაში თვით ჩვენი თავმჯდომარე. და რომ ეს მილიონები შეიძინონ, ბერები მთელ ქვეყანაზე დაძრწიან, რომ დააძრონ უკანასკნელი გროში მორწმუნე ღარიბებს.

განა დრო არ არის ყველა ამას ბოლო მოეღოს?

ბერის სიტყვამ დანარჩენებს სული ჩაუდგა და აღაფრთოვანა.

ნიკონმა რამდენჯერმე წაართვა სიტყვა პროტესტანტ ბერს, მაგრამ ამაოთ, მისი ადგილი დაიჭირა მეორემ და არქიელთა ანგართ-მოყვარეობის დასამტკიცებელი საბუთები სეტყვასავით სცვიოდა პირიდან ორატორს.

ნიკონს მეტი რაღა დარჩენოდა, უკანასკნელ საშუალებას მიმართა და კრება დახურა.

გადასწყვიტეს სკვორცოვი წავიდეს მოსკოვში და ტელეფონით მოახსენოს ეს ამბავი ვისაც ჯერ არს. (რ.)

# წერილები პარიზიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

დეპუტატთა პალატის დებატები საერთო პოლიტიკაზე ფრიად ხანგრძლივი და მრავალ-სიტყვოვანი გამოდგა. ფრანგი მჭერმეტყველობის მოტრფიალეა, სულ ერთია, მემარცხენეა ის თუ მემარჯვენე. ხშირათ მოსწრებული და მახვილი ფრაზა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ფრანგზე, ვინემ ერთი გოდორი ფაქტიური საბუთები. ასე იყო პალატაშიც. საზაფხულო კანიკულების წინ დეპუტატები გრძნობდენ, რომ საჭიროა ამტოკებელი და მაღალ-ფარდოვანი „სეანსები“, რათა ამრჩეველთ ეგრძნოთ მათი მუყაითობა და საქმიანობა. რამდენათ მიაღწიეს მათ მიზანს, ამას მომავალი არჩევნები დაგვანახვეს, დღევანდელი შთაბეჭდილება-კი არაა მათდა სასარგებლო. მე ვამბობ ბურჟუაზიული დეპუტატების ენაწყლიანობაზე.

მთელი დებატების ცენტრალურ წერტილს შეადგენდა მკაცრი დაპირდაპირება რადიკალებსა და სოციალისტებს შორის. ჟორესის დიდი სიტყვა გაგრძელდა ორი სხდომაზე. იგი შეიცავდა შესანიშნავ აზრებს, ფორმაზე კი ლაპარაკიც მეტია, მაგრამ მსმენელი მაინც გრძნობდა რაღაც უხერხულობას. ჟორესი თანამედროვე ხანის დიდი იდეალისტია. მას კიდევ სწამს საფრანგეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის რეფორმატიულ პოლიტიკური მისსია მომავალში, ამიტომ ის გულწრფელათ და დაუღალავათ უჩიჩინებდა პალატის უმრავლესობას,—რადიკალებს და რადიკალ-სოციალისტებს: დროა მოხვიდეთ გონს, ნუ ჰკრავთ გულზე ხელს საფრანგეთის პროლეტარიატს, პროგრესის და რესპუბლიკის ნამდვილ ქვაკუთხედს, ზურგი შეაქციეთ რეაქციონურ ძალებს და დაადექით რეფორმების და კაცთმოყვარეობის გზას... როცა იცი, რომ ყველა ეს და ბევრი სხვა გრძნობიერი სიტყვები მხოლოდ ცერცვია ბურბონთა სასახლის კედლებზე, უხერხულობა თავის თავათ ასახსნელია. იყო მხოლოდ დეპუტატთა ერთი მუჭა რადიკალ-სოციალისტების სკამებზე, რომლებიც ტაშით ეგებებოდენ ჟორესის სიტყვებს, შესაძლებელია—მის მოსწრებულ ფრაზებს! დიდი უმრავლესობა კი სდუმდა, ან დრო გამოშვებით პროტესტს აცხადებდა. მისი ორატორები, ბოლოს თვით კლემანსოც, ცივი წყლით უმასპინძლებოდენ დიდ ორატორის აღგზნებულ მოწოდებას. ისინი ჩინებულათ გრძნობდენ, რომ მათი უსასტიკესი მტერი არის და დარჩება სწორეთ პროლეტარიატი, და კიდევ ამიტომ უკანასკნელის წარმომადგენელ სოციალისტურ ფრაქციას ისინი თავდავიწყებით ებრძოდენ. კლემანსომ ფეხის პრაკუნით გადასძახა მის მონა-მორჩილ უმრავლესობას: „მე განვაგრძობ!“ და უკანასკნელმაც სიხარულით გამოუცხადა მას ნდობა.

მიუხედავათ ამისა, გენერალურ დებატებს ერთი კარგი შედეგიც მოყვა. მკითხველმა იცის ჰეკელმან-ლანდეზენ-ჰარტინგის სკანდალი, დაწვრილებით მოყოლა მეტია. მართალი გითხრათ, ეს სკანდალი გაცილებით მეტი მნიშვნელობისაა, ვინემ აზეფიადა. საქმე იმაშია, რომ ჰარტინგი, იგივე ჰეკელმან-ლანდეზენი, ოფიციალური პირი იყო რუსეთის მთავრობისა, იგი იყო საიდუმლო პოლიციის უფროსი, გენერალი და სხ. ეს კიდევ არაფერი. რუსეთის მთავრობამ იცოდა, ვინც იყო ჰარტინგი, მაგრამ მან მაინც წარუდინა საზიზღარი პროვოკატორი და ისიც საფრანგეთში გასამართლებული საფრანგეთისვე მთავრობას, რის შემდეგ უკანასკნელმა უბოძა ჰარტინგს რესპუბლიკის უმაღლესი ანუ საპატიო ლეგიონის ორდენი! ასეთი თავხედობა უმაგალითობა საერთაშორისო განწყობილებაში! „ვაი სირცხვილო!“—გაიძახოდა ჟორესი აღშფოთებულათ პარლამენტის ტრიბუნიდან—„საფრანგეთი იქცა დაპყრობილ მხარედ, სადაც რუსეთის პოლიცია თავისუფლათ დათარეშობს!“ მან გადმოუშალა მსმენელთ ბურცევის მიერ გამომჟღავნებული შემაძრწუნებელი სურათი და მოითხოვა სასოწარკვეთილებით, მოისპოს რუსეთის საიდუმლო პოლიციის თარეში საფრანგეთში. ამ მოთხოვნას მოულოდნელათ კლემანსომ მხარი დაუჭირა და ერთხმათ იქნა დადგენილი, რომ უცხო სახელმწიფოთა საიდუმლო პოლიციას ადგილი არ ექნეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ პრესსა მხურვალეთ განაგრძობს აურ-ზაურს ამ საგანზე, ბურცევი ბეჭდავს წერილებს და ახალ გამომჟღავნებას გვპირდება. შერცხვებათ კი „სადაც ჯერ არს“ ამ ამბების? საეჭვოა.

თუ პარლამენტს განვშორდებით და თვალს გადავავლებთ თვით ცხოვრებას, ჩვენი ყურადღება შეჩერდება ხოლმე 14 ივლისის უქმობაზე. ერთ საუკუნეზე მეტია, რაც როვოლიუციონურმა პარიზმა მედგრათ შეუტია და მიწაზე დაანარცხა ბურბონთა საშინელი და მიუდგომელი საპყრობილე ბასტილია. ამ დიად საქმეში მონაწილეობას ღებულობდა არა მარტო მშრომელი მასსა, არამედ ბურჟუაზიაც; ერთ მხარეზე იყო „მესამე წოდება“ ანუ ხალხი და მეორე მხარეზე—ტახტი მაღალ სამღვდელოებით და თავადაზნაურობით. მას აქეთ საფრანგეთი უქმობს ყოველ წლივ ამ საგმირო დღეს და მას „ეროვნულ დღესასწაულს“ უწოდებს. მაგრამ განვლო დრო და ხანმა და დადგა ახალი სოციალ-პოლიტიკური განწყობილება: დღეს ერთმანერთზე დაპირდაპირებულია ბურჟუაზია და პროლეტარიატი, ეს პირველყოფილი აუცილებელი მოკავშირენი. აქედან თვით უქმობასაც ეძლევა არა ადრინდელი ეროვნული, არამედ წმინდა კლასობრივი ხასიათი. ყველა: დიდი და პატარა გულ ახდილათ აღიარებენ, რომ, რაც დრო მიდის, ისე 14 ივლისობას ეცლება ფეხ ქვეშ ნიადაგი, სადღაც გაჰქრა ადრინდელი აღტაცება. შეკავშირებული და შეგნებული პროლეტარიატი საჯაროთ აცხადებს, რომ მას სასიხარულო არაფერი დარჩენია, ვინაიდან დღევანდელი ბურჟუაზია განაგრძობს ბურბონთა პრაქტიკას, მხოლოდ სხვა სახით. მართლაც, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ პროლეტარიატის ეს შეგნებული ნაწილი არ ღებულობდა მონაწილეობას დღესასწაულზე. მისმა ერთმა ჯგუფმა, ასე 12 ათას სულმა, გამართი პიკნიკი ქალაქ გარეთ ვენსენის ტყეში, სადაც როგორც გასართობნი, ისე წარმოთქმული სიტყვები მიმართული იყვენ თანამედროვე წყობილების წინააღმდეგ.

მიუხედავათ ამისა, 14-ივლისობა არ იყო მოკლებული ინტერესს. დილა ადრიან გაიმართა ჩვეულებრივი ადლუმი ქალაქ გარეთ, ეგ. წოდ. „გრძელ ველზე„. ამ აღლუმმა მით იჩინა თავი, რომ მას თავს დასტრიალებდა ჰაერში ორი ოტა-აეროსტატი (დირიჟაბლი) და ჯარის სარდალი მინისტრი პიკარი ცხენმა გადმოაბრძანა. დღით ყველა თეატრებში უფასო წარმოდგენები გაიმართა, სცენაზე კი მოხდა ნავებით ბრძოლა (ჟუტი)

და სხვა. საღამოს ქალაქი გაჩირაღდნებული იყო, განსაკუთრებით ბასტილიის მოედანი და სხვა ისტორიული ადგილები. მრავალ-ფეროვანი მაშხალა და ხელოვნური ჭექა-ქუხილი უცხოელზე უეჭველათ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა. შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში, როგორც გაზეთები ირწმუნებიან, 3-ათასამდე ადგილზე, ცის ქვეშ, რასაკვირველია. პარიზელი ხომ ცეკვას გვერდს არ აუხვევს და საინტერესოც იყო ეს „ნომერი“. კიდევ წინ ღამეს იწყეს „ბალები“ და გაგრძელდა სამი ღამე გათენებამდე.

დასასრულ ორიოდე ახალი ცნობა. სინდიკალისტებ შორის აურ-ზაური ცოტათი დაშოშმინდა, მაგრამ უთანხმოება უფრო ღრმავდება, შრომის გენერალურ კონფედერაციაში ნიელის და თილის მაგიერ არჩეულ იქნენ მთავარ მდივნად სფიჩქზე მომუშავე ჟუო და მის თანაშემწეთ-ძვირფას ლითონ-ქვებზე მომუშავე ლეფევრი,—ორივე სინდიკალისტ-რევოლიუციონერებია. რეფორმისტნი, როგორც წინეთაც მოვიწერე, აარსებენ საკუთარ ორგანოს „მუშათა აქციონი“, რომელშიც ითანამშრომლებენ ნიელი, გერარი, რენარი და სხ. ისინი წინდაწინვე აცხადებენ, რომ სასტიკათ შეებრძოლებიან „ანარქისტებს“ ე. ი. სინდიკალისტ-რევოლიუციონერებს. აღმოსავლეთის რკინის გზათა კავშირმა კითხვაც კი წამოაყენა შრომის გენ. კონფედერაციიდან გასვლაზე და ნიელი დემონსტრატიულათ თავის გენერალურ მდივნათ აირჩია. როგორც ხედავთ, კრიზისი ისევ ემძვინვარებს, ხოლო რა შედეგები უნდა მოყვეს მას, ჯერ ძნელი გამოსაცნობია.

ა. ჩ.

## პატარა ფელეტონი

### გლეხის დაკრძალვაზე.

ზარსა ჩამოჰკრეს... სიკვდილის
ამბავი აცნეს არესა,
ბარ-თოხით მიწა გააპეს:
სამარე ამოთხარესა.

მოდიან... თან კუბო მოაქვთ
საფლავში ჩასაშვებათა,
ვიღაცას შავი სიკვდილი
მიუჩნევია შვებათა!

ვინ არის? ვისი ცხედარი,
კურცხალით დანასველები?
ნეტა ვის მკერდზე სამუდმოთ
ჯვრად დაკრეფილან ხელები?...

ცხოვრების გერი, შრომის ძე
მოსწყდა სიცოცხლის კერასა,
ვერ გაუმკლავდა და... გაყვა
თავის შავ-ბედის წერასა!

პატიოსანი ოფლისა
საზღვარი ჰპოვა დენამან
და, მოთმინებას ჩვეულმა,
ტყვევა მთლათ დასთმო ენამან.

დაეცა შრომის უღელი,
წაიქცა ბურჯი ქოხისა,
სიცოცხლე შხამად ჩატარდა,
წამიც არ ახსოვს ოხისა...

ვინ-ღა მოუვლის ქვრივ-ობოლთ,
ცრემლს რომ აფრქვევენ წვიმათა?
ნუგეშის ხელს ვინ გაუწვდის?
ვინ გაამხნევებს იმათა...

არავინ!... წვითა და დაგვით
როცა წამოიზრდებიან,
თავიანთ მამის ძნელ გზასა
ისინიც გამოჰყვებიან.

და ისევ ამოძრავდება
ბედი ცხოვრების გერისა,
სანამ ესეც არ ჩაიწვის
მსხვერპლად შავ-ბედის წერისა...

მშვიდობით, შრომის მოწამევ,
მწარე ცხოვრების ზვარაკო!
იქნება შენზე ბევრი რამ
სხვაცაა სალაპარაკო?!.

მაგრამ... ეჰ, დაისვენევი!
ძილს არ გაგიფრთხობ ამითა.
რას უშმენ ტკბილი სიტყვები
სიცოცხლეს, მორწყულს შხამითა?...

ნ. ზომლეთელი.

* *
*

მტერსა მრისხანეს საბედისწერო
მუქარით სიტყვა შემოუთვალე,
დღეს ვიქონიოთ ომის მზადება
პირისპირ შევხვდეთ ერთმანერს ხვალე!
იმედს სევდა ცვლის ხშირათ ჩემს
გულში,
ახლაც კვლავ იგი შემომეპარა,
სხვა დროს ნათელსა სატრფოს სახესა,
ქმუნვის ღრუბელი გადაეფარა!..
დილა გათენდა! გულს ძალონება,
ვით შტოსა კანი, ჩამოეცალა,—
მტკიცე ნაბიჯი გადავდგი მტრისკენ,
კვლავ სადევ-გმირო ვიგრძენი ძალა!

იახამანი.

## ახალი ამბები

**ნოე ჟორდანიას განთავისუფლება.** პეტერბურგის „კრესტის“ ციხიდან გაანთავისუფლეს პირველი სახელმწიფო დუმის ყოფილი დეპუტატი ნოე ჟორდანია. ჟორდანია თფილისში დაპატიმრეს 1908 წლის სექტემბერში. უმართებულესი სენატის საკრებულომ ვიბორგის მოწოდებაზე ხელის მოწერისათვის მას 3 თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა.

**ყალბი ფულების შესახებ.** გუშინ ცნობა გვქონდა იმის შესახებ, რომ პოლიციამ აღმოაჩინა ყალბი ფულები. პოლიციამ შეიტყო, რომ ყალბი ფულები მზადდებოდა სურ-კარაპეტის ასახვევზე. სახლის გაჩხრეკის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მის ქვედა სართულში მუშაობდა ნიშან-ტერ-ნიშანოვი. იმ დროს, როდესაც ის ყალბ ხუთ მანეთიანებს ამზადებდა, ხოლო მისი ამხანაგი მიკირტიჩ ტატოსიანცი სახელოსნოს კარებთან იდგა და უყარაულებდა. გაჩხრეკის დროს სახელოსნოში ნახეს: 96 ცალი ყალბი აბაზიანები, 84 ხუთ მანეთიანები, 35 ასეთივე მხოლოდ მოუვერცხლავი, 4 მანქანა ყალბი ფულების გასაკეთებლათ და ჩამოსასხმელათ, სხვა და სხვა ქიმიური ნივთიერებანი და მანქანები ყალბი ფულების გასაკეთებლათ. დაპატიმრებულნი ტერ-ნიშანოვი და ტატოსიანცი ყალბი ფულების კეთებაში გამოტყდენ.

**ჩხრეკა და დაპატიმრება.** 14 ივლისს მეათე საპოლიციო ნაწილის პოლიციელებმა დააპატიმრეს 8 კაცი, რომელთაც პასპორტი არ აღმოაჩნდათ. იმავე დღეს მეხუთე საპოლიციო ნაწილში დაპატიმრეს ერთი უცნობი, რომელმაც თავის თავს არშაკ ჩაქუჩიანცი უწოდა, მაგრამ სპარსეთის ქვეშევრდომის აკულ კოკოიანცის პასპორტი აღმოაჩნდა.

**საეპარქიო საბჭოს ახალი თავმჯდომარე.** საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო თავმჯდომარეს ადგილზე ცნობილ გოროდცევის მაგივრათ დაინიშნა ალექსანდრე-ნეველის ეკლესიის მღვდელი რაზუმოვსკი,

**სამისიონერო კურსების გაუქმება.** ალექსანდრე ნეველის ეკლესიასთან, როგორც მკითხველთ ეცოდინებათ. არსებობს სამისიონერო კურსები. როგორც შევიტყვეთ, ხსენებული კურსები მომავალ სექტემბრამდე დაუხურავთ.

**პოლიციელის დასაფლავება.** გუშინ დაასაფლავეს მე-7 საპოლიციო ნაწილის პოლიციელი ბერესტოვოი, რომელიც უცნობებმა ამ დღეებში მოჰკლეს. დასაფლავებას დაესწრო პოლიცმეისტერი, ბოქაულები და პოლიციელები ყველა საპოლიციო უბნებიდან.

**თხოვნების გარჩევა.** დ. ზ. სარაჯიშვილისაგან სტიპენდიებისა და დახმარების შესახებ თხოვნებს კომისია გაარჩევს არა უადრეს 20 აგვისტოსა.

**სამრევლო-სკოლების სასარგებლოთ:** საქართველოს საეგზარხოსოს საეკლესიო-სამრევლო სკოლების შესანახათ საერობო თანხიდან 1909 წლისათვის გადაიდო 17,300 მანეთი. ასეთივე ჯამი გადაიდება ყოველ-წლივ მომავალ ორი წლის განმავლობაში.

**დახმარება.** საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას საერობო თანხიდან დაენიშნა ყოველ-წლიურათ 6000 მანეთი.

**დეპეშა.** სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების კომიტეტმა დეპეშა მიიღო ყარსიდან, რომელითაც მას 600 სომეხის სახელით დახმარებას სთხოვენ. ამათ ყარსიდან ოსმალეთში გადასახლება განუზრახავთ.

**ბრმა მოსწავლეთა სასარგებლოთ.** ბრმებზე მზრუნველ საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ 4.800 მანეთი მიიღო ერობის საშუალებათაგან თფილისის ბრმათა სკოლაში სტიპენდიანტების სასარგებლოთ.

**† მუშის დაკრძალვა.** 1 ივლისს ს. ქანქათში ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფოთის „რუსის სანავოსნო საზოგად.“ მუშა სიმონ წულაძე. 4 ივლისს ცხედარი მიწას მიაბარეს. ფოთის აღნიშნული საზოგადოების მუშებმა, განსვენებულის ამხანაგებმა, ცხედარი გვირგვინით შეამკეს. ყველას გული დასწყვიტა სიმონის უდროვო სიკვდილმა.

განსვენებულს დარჩა წვრილი ცოლშვილი და შეძლება კი—თითქმის არავითარი. ქალაქში სამუშაოდ გასვლასაც სწორედ ეს გარემოება აიძულებდა მასაქედან თავის თავად ცხადია, რომ ის ამხანაგები, რომლებმაც სიმონის ცხედარს პატივი სცეს, არ დაივიწყებენ იმის წვრილ ცოლ-შვილსაც და შეძლების და გვარათ დახმარებას გაუწევენ. ადრესი, რომელზედაც პირველ სექტემბრამდე ფული მიიღება, შემდეგია: Ланчхуты—с. Акеты, Ною Куридзе, ბაბინე წულაძისათვის.

**ქურდები.** პოლიციამ დააპატიმრა შაქრო არუთინოვი და შაქრო მანუჩაროვი, რომელთაც ივანე ჩაბუკაძეს და მიხეილ აბულაძეს ტანისამოსიდან ფული ამოართვეს, როდესაც ესენი მტკვარში ბანაობდენ.

**სხვადასხვა ამბები.** თფილისის გუბერნატორმა 15 მანეთით დააჯარიმა აბელ ეპიტაშვილი, რომელიც სავალდებულო დადგენილების წინააღმდეგ თავის სარდაფში ჯარის კაცთ მაგარ სასმელებს აძლევდა.

— ასევე 10 მანეთით დაჯარიმებულ იქნა მაქსიმე სივილაძე, რომელიც თავის სარდაფში ჯარის კაცებს უშვებს და მაგარი სასმელებით ვაჭრობს.

— საადრესო სტოლის შესახებ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დაპატიმრებულ იქნა თფილისის მცხოვრები კირიუ სტეფანოვი.

— 14 ივლისს ბახტომიანცის სარძევეში (პუშკინის ქუჩაზე) ვიღაც უცნობებმა მოიპარეს 57 მანეთი ფულათ. აღმოჩნდა, რომ ქურდი საღამოდან შიგ ჩაუკეტიათ. მაღაზიის კლიტე ჰქონია ნოქარს იბრაგიმ-ოღლის, რომელიც დააპატიმრეს კიდეც.

**შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ (№ 10) ნომერში მეორე კორესპოდენციას შეცდომით აწერია: ნიგოითი (გურია), უნდა იყოს: **ჯურუყვეთი** (გურია). იმავე ნომერში „წერილში რედაქციის მიმართ“ვალიას მიერ მუსრან ხოჭოლავას ნაცვლათ და·ახელებულია ა. ჩხაიძე. უნდა იყოს: **კამზულა.**

## საბანაოების საჭიროების გამო ჩვენში

თითქმის ყოველ დღე ვკითხულობთ გაზეთებში, რომ მტკვარში ბანაობის დროს ამდენი და ამდენი კაცი ან ქალი დაიხრჩო და ამდენი და ამდენი უკვალოდ დაიკარგაო... რომ მტკვარში მობანავეები, რომლებიც სისტემატიურათ იხრჩობიან—უკვალოდ იკარგებიან, საზოგადოების ღარიბ ნაწილს და მუშათა კლასს ეკუთვნიან, ამას დიდი გამოცანა არ სჭირია, ვინაიდან საზოგადოების მეორე ნაწილი—ბურჟუაზია, რომელიც კერძო ბინებზე მოწყობილ საბანაოებით კმაყოფილდება, მტკვარზე არ მიდის საბანაოთ (რა თქმა უნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მტკვარზე საბანაოები არ არის მოწყობილი). რომ ბანაობა ადამიანის ჯანმრთელობა-სისადისათვის აუცილებელი საჭიროებაა და რომ ბანაობა ადამიანს ფიზიკურათ ანვითარებს, ამის მეოცე საუკუნეში მტკიცება ზედ მეტია, რადგანაც ყველამ იცის თუ რა როლს ასრულებს—თამაშობს წყალი მედიცინაში, თუ როგორ გავრცელებულია წყლით მკურნალობა—водолеченіе ამას კაი ხანია ევროპიელებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს და ამ ჟამათ საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, ამერიკის, შვეიცარიის, იტალიის ბელგიის, და ავსტრიის ბევრ ქალაქებში მრავალი საბანაოებია უმთავრესათ ადგილობრივი თვითმმართველობების ხარჯზე აშენებული. და მათში, გარდა ზოგიერთებისა, საზოგადოების ღარიბი ნაწილი და მუშები უსასყიდლოთ ბანაობენ. ზოგიერთ ადგილებში ასეთ საბანაოებთან ბიბლიოთეკა-სამკითხველოებიცაა მოწყობილი. არსებობს ისეთი საზოგადოებებიც, რომლებიც აბანოებს და საბანაოებს აშენებენ და კვირა-უქმე დღეებში საზოგადოების ღარიბ ნაწილს და მუშებს ბანაობაში ფასს არ ახდევინებენ, ან და ახდევინებენ ძალიან მცირეს. არის აგრეთვე სპეციალურათ მუშათა კლასისათვის აშენებული საბანაოები თვითმმართველობების ხარჯით. ზემოხსენებულ სახელმწიფოების ქალაქების თვითმმართველობების კულტურულ მოღვაწეობას ოდესმე (10—12 წლის წინეთ) ჩვენმა ქალაქის თვითმმართველობამაც მიაქცია ყურადღება, შეიმუშავა საბანაოების შესახებ პროექტი ვერის ხიდთან (სატივეზე), ერთი პატარა საბანაოც გააკეთა, რომელიც წყალმა მოიტაცა და მას აქეთ, აგერ 10 წელიწადზე მეტია, ადგილობრივი თვითმმართველობა სძინავს და აღარ ფიქრობს თავის დადგენილების სისრულეში მოყვანაზე, აღარ ფიქრობს იმაზე, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები უზრუნველ ჰყონ მტკვარში ბანაობის დროს დახრჩობა-უკვალოდ დაკარგვისაგან.

თხი.

## პროვინციის ქრონიკა

**ფოთი.** ქალაქის საბჭომ შეიტანა ხარჯთა „სმეტაში“ და დაამტკიცა ხარჯები (3158 მანეთი), რომელიც დასჭირდება პეტერბურგიდან ალექსანდრე მე-II ძეგლის ჩამოტანას და დადგმას, რომელიც ფოთს უმაღლესად ებოძა.

— სომხების ეკლესიის მზრუნველი ბ-ნი აპრელიანი გაემგზავრა ეჩმიაძინში კათოლიკოსთან, ფოთში დაწყებულ სომხების ეკლესიის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

— ქალაქის გამგეობამ ალმაცერად შეხედა პორტის უფროს გენერალ სმელსკის მოწერილობას, რომლითაც ის მოითხოვდა პორტში მუშებისთვის წყლის სასმელის გაკეთებას. ჩვენი ქალაქის გამგეობაზე უფრო რადიკალობას, გენერლებიც იჩენენ მუშათა კითხვაში. ქალაქის მამები მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ რაც შეიძლება რეპრესიებს მიმართონ და დამშეულ ხალხს „ნედოიმკები„ გადაახდევინონ. ამაში სავსებით გვარწმუნებს სმელსკის მიწერილობის უყურადღებოთ დატოვება. ჯერ-ჯერობით. მომავალსაც ჩვენ სკეპტიკურათ ვუყურებთ და ამის სრული საბუთი მაქვს, ამას მოწმობს მთელი მოღვაწეობა (წარსული და აწმყო) აქაური ქალაქის მამების.

— ამ დღეებში აქაურ ელექტრონის სადგურზე მუშაობის დროს მძიმეთ დაშავდა იქ მომუშავე მუშა შალამბერია, რომელსაც ელექტრონის მატორი დაეცა. დაშავებული ექიმ კ. მიქაბერიძის საავადმყოფოში მოათავსეს.

— 8 ივლისს რუსის სანავოსნო საზოგადოების გემ „მეჩტაზე“ მუშაობის დროს მძიმეთ დაშავდა ამავე საზოგადოების მუშა დავით გიორგაძე, რომელიც მიქაბერიძის საავათმყოფოში მოათავსეს.

— ქუჩებში გაკრულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებები.

— ამ დღეებში აქაურ ხერხის ქარხნის ფრანგ ვედისა და კომპანიისა ვიღაც ბოროტ-მოქმედს გადაუჭრია პატარა „სტანოკის“ ღვედი. ვინ და რა მიზნით მოიმოქმედა ეს გამოურკვეველია, მხოლოდ ამან დიდი გაწამაწია გამოიწვია და 11 მუშა (ამ ქარხნის ყველა მუშები) დაატყვევეს. 11 ივლისს სამის გარდა ყველანი გაუშვეს. შალვა მანწკავა, პეტრე გაბესკირია და ნოე კუპრაძე სატუსაღოში გაგზავნეს. როგორც ხმები დადის, საქმე ჟანდარმთა სამმართველოსთვის გადაუციათ. სწარმოებს გამოძიება. ამ პროვოკაციაში, ხმები თვით მექარხნეებს ამტყუნებენ და ამბობენ, რომ ეს მოჩმახეს, რომ ძველი მუშები თავიდან მოეშორებიათო. ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერას ვიტყვით გადაჭრით, მხოლოდ საჭიროა საქმის მიუდგომლათ გამოკვლევა, რახან ადვილი შესაძლებელია, მუშები აქ არაფერ შუაში იყვნენ.

— 9 ივლისს აქაურ ნავთ-სადგურში ინგლისელ გემ „ამანაზე“ მუშაობის დროს, ტრიუმში მყოფ მუშა ვანო ტუღუშს თავში დაეცა მარგანეცის პლატი და გაუჩეხა თავი. ის ამოიყვანეს ტრიუმიდან. მან მიმართა საექიმო დახმარებისთვის იქვე მყოფ ბ-ნ ზივერსტს (ფორვუდის გამგეა). ზივერტმა ეხიდნურათ გაიღიმა და უპასუხა: „არა უშავს, საკუთარი ფულებითაც იყიდი წამალს“-ო. ამის შემდეგ გემის მატროსებმა აღმოუჩინეს საექიმო დახმარება დასახიჩრებულს. ზივერტის და კომპანიის პასუხი არაფერი გასაკვირია, რახან ისინი, „როგორც ორაგული შევა მდინარეში“, რეაქციის წყალობით კარგადა გრძნობენ თავს.

— ამ დღეებში აქ ჩამოვიდა პროკურორის ამხანაგი ბ-ნი ბაშმაკოვი, რომელიც 9 ივლისს ხელახლა შეეკითხა ყველა მოწმეებს ირინა მდინარაძის (11 წლის ქალი) დახრჩობის შესახებ. როგორც იცით, მდინარაძის ქალი ირინა მსახურებდა ბ-ნ გარდენთან, რომლის სახლიდან დაიკარგა და რამდენიმე დღის შემდეგ ქალი ნახეს ზღვაში დამხრჩვალი გარდენის სახლის ახლოს. ბ-ნი ბაშმაკოვის ჩამოსვლა გამოწვეულია დამხრჩვალი ქალის ნათესავების საჩივრით, რომ ადგილობრივმა გამომძიებელმა ვერ მიიღო შესაფერი ზომებიო. 9 ივლისს შესაკითხად დაბარებული იყვნენ 7-მდის მოსამსახურე ქალები, რომლებიც ბ-ნ გარდენთან ყოფილან მოსამსახურეთ და რომლებიც გაქცეულან გარდენიდან, რადგანაც ის და მისი ოჯახი სასტიკათ ეპყრობოდენ მათ. საქმე ისევ გამოძიებაშია და ვინ იცის, რით დასრულდება. მდინარაძის ქალის დახრჩობა, დიდათ აღელვებს საზოგადოებას და ბევრ მითქმა-მოთქმას იწვევს.

— ოზურგეთის მაზრის უფროსის მოწერილობით დატყვევეს ქ. სიმონ გაბრიელის ძე კალანდაძე, ჩოხატაურის მცხოვრები, რომელსაც ოზურგეთის ადმინისტრაცია ბრალს სდებს დარისპან კალანდაძის (ჩოხატაურში) გაქურდვაში. სიმონ კალანდაძეს ეტაპით გზავნიან ოზურგეთში.

## ცოტა რამ შავი ქვის მრეწველობაზე.

(წერილი ჭიათურიდან)

დღეს ცხოვრებაში ჩაკვირვებულ ყველა ადამიანისათვის ნათელია ის მოვლენა, რომ ყოველ მრეწველობის თვალ-საჩინო აყვავებას თან მოსდევს მრეწველობის დროებითი შეჩერება, მისი დაქვეითება ანუ კრიზისი. კრიზისი თან ახლავს აყვავებულ მრეწველობას სწორეთ ისე, როგორც მხურვალე მზის დროს ხეს თავისი ჩრდილი. ის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანია კაპიტალისტური წარმოების და შედეგი, მისი ღვიძლი შვილის—კონკურენციის. ამ მოვლენას ზოგიერთები ადვილათ ხსნიან: ერთნი მას განმათავისუფლებელ მოძრაობას აწერენ, მეორენი გაფიცვებს, მესამენი „ზუბტოვშჩიკი“ მუშების და მათი მეთაურების „გამანადგურებელ“ მოღვაწეობას და დანარჩენნი კიდევ ვინ იცის რას. მოვლენების ასეთი ახსნა-განმარტებას ჩვენ სრულებით ვანდობთ მის ავტორებს, ამ „შესანიშნავ“ მეცნიერებს და კიდევ უკეთეს „ეკონომისტებს“. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისეთივე „მეცნიერი“ და „ეკონომისტი“ დაუჯერებს მათ როგორიც თვითონ არიან ეს ვაჟბატონები. სწორეთ ამიტომ მათ „მეცნიერულ“ ახსნაზე ჩვენ დროის დაკარგვა ზედმეტათ მიგვაჩნია.

მაშ, სად უნდა ვეძიოთ კრიზისების მიზეზები?

რასაკვირველია, კაპიტალისტურ წარმოებაში და მისი არსებობის სხვადასხვა რთულ პირობებში და არა რომელიმე გაფიცვაში ან და ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ასეთ თუ ისეთ მოქმედებაში. კაპიტალისტური წარმოების ერთი აუცილებელი პირობათაგანია კონკურენცია. პირველის არსებობა უმეორეოთ შეუძლებელია როგორც თევზის სიცოცხლე უწყლოთ. კონკურენციის საშვალებით ბაზარი ივსება საქონლით, რომლის რაოდენობაც აღემატება მოთხოვნილების რაოდენობას. წინადადება აჭარბებს მოთხოვნილებას, ანუ გასაყიდელის რაოდენობა მეტია საყიდელის რაოდენობაზე, ეს კი ძლიერ ცუდია წარმოებისათვის, რადგან ფასები ეცემა. ფასების დაცემას კი ზოგან შეჩერება მოყვება წარმოების და ზოგანაც ცუდი პირობების შექმნა. ამ ცუდი პირობებით კი უმთავრესათ მუშები ვარდებიან ცუდ მდგომარეობაში. მათი ხვედრია ქირის მოკლება, სამუშაო დროს მომატება და ხშირათ უმუშევრობა და აქედან შიმშილობა. კონკურენციის გარდა კრიზისების წარმოშობაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ რამდენათაც ორგანიზაციულათ და კარგი მომუშავე საათის მექანიზმივით არის მოწყობილი თვითეული დარგი მრეწველობისა, იმდენათ უფრო ანარქიულია წარმოება მთელათ. არა თუ თვითეული დარგი, არამედ ყოველი მრეწველი და ფირმაც დაინტერესებულია მასში, რომ როგორმე მეტი საქონელი გაიტანოს ბაზარზე გასასყიდლათ. ის არავითარ ანგარიშს არ უწევს საერთო ბაზრის მოთხოვნილებას და აი, სწორეთ ამიტომ ბაზარზე მეტი საქონელი გროვდება ვინემ მოთხოვნილება არის. აი აქ არის დამარხული ძაღლის თავი და ის კაი ხანია რაც აღმოაჩინეს ეკონომისტებმა. ჩვენც ამ გასაღებით უნდა ვისაშუალოთ როდესაც კრიზისების მოვლენებს ვხსნით და არა ისეთი „თეორიებით“, როგორსაც ზემოთ მოყვანილი მეცნიერები გვაწვდიან.

კრიზისი ორ გვარია: საზოგადო და კერძო. საზოგადო, როდესაც კრიზისის სხვადასხვა საწარმოვო დარგებს ეხება და კერძო კი, როდესაც ის ერთ რომელიმე დარგს ეხება. ნათქვამიდან სჩანს, თუ რა არის საზოგადოთ კრიზისი და რა მიზეზები იწვევენ მას.

ეხლა გადავავლოთ თვალი ჭიათურის შავი ქვის მრეწველობას და იმ კრიზისს,

რომელსაც ის განიცდის და ჩვენთვის თვალსაჩინო იქნება ყოველივე ზემოთ ნათქვამი. ამასთან მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელსაც მტკიცეთ აქვს მომაგრებული ფეხი ჭიათურის მრეწველობაში. ჩვენ არ ვიცით არც ერთი დარგი მრეწველობისა, სადაც ასეთ ძარცვა-ყვლეფას, ქურდ-ბაცაცობას, უპირულობას, გაუტანლობასა და უსინდისობას ქონდეს ადგილი, როგორც ამას ვხედავთ ჭიათურაში. ჩვენ ხშირათ გაგვიგონია ფრიად სამართლიანი შენიშვნა აქაურ სხვა და სხვა ჯურის ტყავის მძრობლებზე „ნახევრათ პატიოსანი კაციც კი ჭიათურაში პურს ვერა სჭამსო". მართლაც, ვერ ნახავთ ვერც ერთს სავაჭრო და გინდა სხვა დაწესებულებას, სადაც ქურდობა ჩვეულებათ არ იყოს მიჩნეული. ეს უკანასკნელი სხვაგანაც ბევრია, მაგრამ ჭიათურა თავისი უსინდისობით ყველას აჭარბებს. რატომ ხდება ყოველივე ეს?

აი, ძნელი საკითხი, რომლის გამოკვლევასაც აქ ჩვენ ვერ შევუდგებით. თუმცა შევნიშნავთ, რომ ამაში ბრალი უდევს წვრილ წარმოებას. ამ განსაკუთრებულმა პირობებმა დიდი გავლენა იქონია იმ კრიზისზე, რომელსაც განიცდიდა დღემდე ჭიათურის შავი ქვის წარმოება. დღეს არავისთვის აღარ არის გაუგებელი ის, რომ 1905-6-7 წლებში ქვის მაგიერ სოველი ტალახის გზავნა ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო კრიზისის გამოწვევისა და მისი უწვერვალეს ხარისხამდე მისვლისა. ეს წლები ჭიათურის მრეწველობის აყვავების ხანათ ითვლება. ამ ხანებში ჭიათურა ფულის მორევში ცურავდა და გასაკვირველი არ არის, თუ მარგანეცს უბრალო შავ ქვის და მტვერისგან გაშავებულ მიწას ერთი და იგივე ფასი ქონდა. სწორეთ იმ დროს ჭიათურაში ადგილი ქონდა ორ გრანდიოზულ გაფიცვას, რომლებიც მუშების გამარჯვებით დასრულდა. 18 საათის სამუშაო ჯერ 10, შემდეგ კი 8 საათით შეიცვალა. ხელფასი 50 კ. 2 მანეთამდე ავიდა. 1907 წლის შუა თვეებიდან მარგანეცის მოთხოვნილებამ საერთოთ იკლო, ხოლო ჭიათურის მარგანეცი, როგორც ღვარგისი (რადგან ცუდ თვისების ქვას გზავნიდენ) დაიბრაკა. ბრაზილიისა და ინდოეთის ქვამ დაიკავა ჭიათურის ადგილი. ჭიათურა კი დაიმშა. კრიზისმა მჭიდროთ მოიკიდა ფეხი და შესამჩნევი დაღი დაასვა ჭიათურის მრეწველობას. ფასები შემცირდა, პირობები გაფუჭდა, რამაც ბევრი მწარმოებელი გაწყვიტა წელში. მუშების ბრძოლით მოპოვებული პირობები ფეხქვეშ გაითელა და ბევრი მათგანი ულუკმა პუროთ დარჩა ქუჩაში. ჩვენ აზრათ არა გვაქვს დაწვრილებით შევეხოთ ყოველივე მას, რაც ვაი-ვაგლახი გამოიარა ჭიათურამ ამ მთელი ორი წლის განმავლობაში. ამიტომ ბევრს აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ დღეს ბევრი რამ ისწავლა ამ მწარე გამოცდილებით ჭიათურამ და ეხლა, როდესაც კრიზისს აღსასრულის დღე უდგება, საჭიროა ყველა წინანდელი გამოცდილებით სარგებლობა და უფრო დაკვირვებული მოქმედება. დღეს ქვის მოთხოვნილება დიდია. ფასი და პირობები კი ცუდი და აუტანელი. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს როგორც მწარმოებლების მხრივ, რომლებმაც ფასების მომატება უნდა მოითხოვონ, აგრეთვე მუშების მხრივ. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ენერგიული მოქმედება, რათა აღდგენილ იქნას მუშაობის ძველი პირობები.

**შალიკო აბდ—ი.**

## წერილი ჩორნი-იარიდან.

(ასტრახანის გუბერნია).

3 ივლისს მიწას მივაბარეთ მიხა სოზიაშვილის გვამი. ის იყო გორის მაზრის სოფ. ახალციხის მცხოვრები, სადაც მას უკიდურეს სიღარიბეში დარჩა ცოლი და ხუთი წვრილი შვილი. საჭიროა, რომ ადგილობრივ ყურადღება იქნეს მიქცეული ამ უბედურთა მდგომარეობაზე. როგორც მკითხველს ეხსომება, შარშან მაისის 25-ს უგზო-უკვლოთ სადღაც დაიკარგა ახალქალაქელი მემამულე გიგო თარხნიშვილი. ეჭვი თავადის დაკარგვაში გლეხებზე მიიტანეს და იმ დღიდან ამათ წინააღმდეგ ზომების მიღებას შეუდგენ, რასაც მგონი, ჯერაც ბოლო არ უჩანს. პოლიცია სტრაჟნიკ-ჯაშუშებს არ დაჯერდენ თავადები დაკარგულის საპოვნელად და მკითხავებსაც კი მიმართეს. დაიჭირეს 20-მდე საუკეთესო გლეხი, ჩაამწყვდიეს სატუსაღოში და მერე გადაასახლეს შორეულ ქვეყნებში: ვიატკაში, ჩორნი იარში და სხვაგან. ასტრახანში მოკვდა ილიკო გოგნიძე, ბალაშოვის ციხეში სული დალია სახადით საუკეთესო ვაჟკაცმა ვანო გაბოძემ, იქვე მოკვდა სახადით მიხა გელიტაშვილი და აქაც, ჩორნი იარში ეს მიხა სოზიაშვილი. ვინ იცის კიდევ სხვებს, სხვაგან გაგზავნილებს რა დღე ადგიათ.

მიხა სოზიაშვილი თფილისიდან გაგზავნეს ეტაპით ავადმყოფი იანვარში. მთელი ზამთარი ამ ეტაპით რუსეთის ციხეებში ატარეს და ავათმყოფ მიხას ულმობლათ გაცრეცილ ტანთსაცმელში უწევდა წოლა ცემენტის იატაკზე. როსტოვში მოუხდათ დარჩენა, მერე კოზლოვში, იქიდან სარატოვში, ასტრახანში, ასტრახანიდან ისევ სარატოვში დააბრუნეს, ცარიცინში, ბარისო-გლებში და ბოლოს ჩორნი არში. ბალაშოვის ციხეში ორი თვე იწვა ავათმყოფი მიხა, მარა ხომ მოგეხსენებათ, სატუსაღოს საავათმყოფოებში „ექიმობა", სადაც ავათმყოფობასაც არ გიჯერიან და·რაც მოხვდებათ ხელში, იმით „გარჩენენ". როცა ცარიცინიდან ეტაპს გზავნიდენ, მიხას ფეხზე დგომა არ შეეძლო ისე იყო დასუსტებული და სთხოვდა სალდათებს ურემზე დაესვათ. პასუხათ ისეთი მაგარი დაკვრა მიიღო კონდახით, რომ იქვე ქუჩაში წაიქცა. წაქცეული ორმა სალდათმა საყელოთი მიათრიეს წინ წასულ ეტაპთან და დააგდეს გულშემოყრილი. მაშინ მხოლოდ კონვოის უფროსმა გასცა ბრძანება მისი ურემზე დასმისა, მარა აქაც ახალი მტერი აღმოუჩნდა. ეს იყო მეურმე რომელმაც დაიდრიალა: ვიდაცა ქართველის თრევით ჩემს ცხენს წელს არ მოვსწყვეტავო, იქით წაათრიეთ თორემ... და მათრახი მოიმარჯვა. ამ დროს ელვის წისწრაფით მოიჭრა შორიახლო მდგომი ფაბრიკიდან მომავალი ახალგაზდა მუშა ქალი, რომელიც გამძვინვარებულ ვეფხვსავით მივარდა მეურმეს: რას სჩადი, შე არამზადავ, შე უნამუსო, მხეცო! ამ პატიოსან ადამიანს განა ის სხვა ტანჯვა არ ეყოფა, შენ რაღას ემართლები, რომ ურემზედაც არ გინდა დასვა? რაა რომ ქართველია? განა ჩვენისთანა და უკეთესიც არ არის? შე უგუნურო, ის მაინც უნდა იცოდე, რომ ეს პატიოსანი ქართველი მთელი ტანჯული ხალხის ინტერესებს იცავდა, მისთვის იბრძოდა და მისთვის იტანჯება, ეს პოლიტიკური მებრძოლია. დასვი ურემზე ეხლავე, თორემ... ქალმა მუშტები მოკუმშა, მეურმემ მათრახი ასწია ქალისთვის დასარტყმელათ. ამ დროს ქვის მთლელი მუშები გამოჩნდენ, რომელთაც უცებ გაიგეს, რაშიაც იყო საქმე და მოიმარჯვეს თავიანთი ძარღვიანი მუშტები და ქალს გვერდით ამოუდგენ: გაბედე შე საძაგელო, გაბედე და გაჩვენებთ, როგორ უნდა ჩვენი ამხანაგების წვალება! შენი ბედი, რომ აქ შენი ადგილია და არა ჩვენი, მარა სხვა ადგილზე მოგაგონებთ, რის ღირსიცა ხართ. მიხა დასვეს ურემზე. ამხანაგებმა მიხას თავი არ გაანებეს. ჩორნი იარში მარტო ორი კვირა შესძლო ფეხზე დგომა და 2 ივლისს ჭლექმა გააქრო მისი სიცოცხლე.

დასაფლავებას დაესწრენ ყველა პოლიტიკურები. წინ მიქონდათ ერთი გვირგვინი წითელ ლენტზე წარწერით: „ძალმომრეობის მსხვერპლს მიხ. სოზიაშვილს ამხანაგებისაგან". ცხედარს ადგილობრივი მცხოვრებნიც მიყვებოდენ, მარა საფლავთან მათ პოლიცია გადაუდგა წინ და არ შეუშვა გალავანში. პოლიტიკურებსა და პოლიციას შორის მოხდა მკაცრი შელაპარაკება, მარა ხალხი მაინც გარეთ დარჩა, თუმცა იქიდანაც ხარბათ ისმენდა ორატორების სიტყვებს. სიტყვა წარმოსთქვა ორმა დამსწრეთაგანმაა: რუსმა გ. შ-მა და ქართველმა ი. რ-მა. მათ დახატეს ის საშინელება, რასაც განიცდის ქართველი გლეხკაცობა ქართველი თავადებისაგან, რომელნიც შეერთებული პოლიცია-ჯაშუშებთან იცავენ და ანადგურებენ გლეხკაცის კერას, დახატეს ეტაპის დრამები, ასწერეს ოჯახური მდგომარეობა გარდაცვალებულისა.

ხალხი ცრემლებს ვერ იკავებდა... შეწყდა გლოვის ზარი, კუბოს მიწა მიაყარეს და მძიმე ფიქრებს ქვეშ გულდაწყვეტილი ამხანაგები უკან დაბრუნდენ...

ქართველო თავადებო, რას სჩადით? აკი შეზარხოშებისა, მაშასადამე, ყოველ დღე, გიყვართ ქართველებზე და მათ კეთილდღეობაზე ლაპარაკი, აკი თვით კრებებზე ქვეყნის ბედზე გიყვართ ყაყანი? და რა არის ეს ქვეყანა, ეს საქართველო, თუ მისი შემნახველ მარჩენალ გლეხებს ამოიშავებთ და გაანადგურებთ? ქართველო თავადებო, გონს მოდით!

**გადასახლებული.**

# მუშათა შორის

**კავკასიის მადნეულ წყლებზე ხელზე მოსამსახურეთა მდგომარეობა.** არც სხვაგან არის სახარბიელო ხელზე მოსამსახურეთა მდგომარეობა, მაგრამ მადნეულ წყლებზე ხელზე მოსამსახურეთა მდგომარეობა კი აუტანელია.

ჯერ ერთი, რომ როგორც ქართველს, ყველა ეჭვის თვალით უყურებს. ყველა ხედავს შენში ექსპროპრიატორს. საკმარისია ვინმემ რაიმე დააშავოს, რომ ქართველები გამინჯონ. ამას წინათ ეჭვით დაპატიმრებული რამდენიმე ქართველი, ხუთი თვეა, პიატიგორსკის ციხეში სხედან. მათ სამშობლოში გაგზავნას უპირებენ. ამას წინათ ბაქონ ნატ. გურევიჩის ცოლს, ვიღაცამ ხელიდან რედიკული მოსტაცა, რომელშიაც ასი მან. ყოფილა. ამის გამო დააპატიმრეს ათამდე ქართველი. თუმც ქალმა ისინი დამნაშავეთ არ იცნო, მაგრამ მაინც ეტაპით გაგზავნას უპირებდენ—როგორც იყო თავდებ ქვეშ ყველანი გაანთავისუფლეს. რომ შიმშილით არ მოკვდეს და ადგილი იშოვნოს ქართველმა მოსამსახურემ, უპირველეს ყოვლისა უნდა ქონდეს კეთილსაიმედობის მოწმობა, შემდეგ მისი მიღება კიდევ ხაზეინის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, უნდა მიგიღებს, უნდა არა. ბაქოდან მოსულს ერთ მოსამსახურეს შავგულიძემ „გრადონაჩალნიკის" მოწმობა მოსთხოვა. „გრადონაჩალნიკიდან" მოწმობის აღებას სამი თვე მაინც დასჭირდება და სეზონი კი აქ მთლად სამი თვეა. ხაზეინები მეტათ მკაცრათ იქცევიან, მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ამ მხრით შავგულიძეს. ეს ვაჟბატონი წინათ დემოკრატობდა, ეხლა კი ხედავს რა, რომ მოხამსახ. კარტ-ნარდის და ბილიარდის თამაშის მეტს არას აკეთებენ, სხვა პოლიტიკას დაადგა. ყველა მოპოვებული პირობები უკანვე წაიღო. ახალი „ინსტრუქციის" ძალით, რომელზედაც ხელი მოაწერინეს ყველა მოსამსახურეებს, ერთი მეორესთან ლაპარაკიც აკრძალულია. შემოღებულია „ზალოგი" „შტრაფები" და სხვა. ის უპირატესობას აძლევს რუს მოსამსახურეებს, რითაც უნდა რუს-ქართველებს შორის შუღლი-მტრობა ჩამოაგდოს, მაგრამ შეგნებული მოსამსახურეები ამ ხაფანგში არ გაებმიან.

1905 წ. კისლოვოდსკში დაარსდა კასტანტინოვის არტელი რესტორ. მომუშავეთა. არტელი შესდგება 105 წევრისაგან.

მათ განყოფილება აქვთ ბაქოში. პაი ღირს 300 მან. არტელის საქმე ცუდათ მიდის. ოცდა ხუთმეტი ათასი მან. გაიფლანგა და ვალი აქვთ. ეს იმიტომ, რომ არტელი დემოკრატიულ საფუძველზე ვერ არის დაყენებული. დაქირავებულთა ყველაფა უმაღლესად განვითარებულია. ხსენებული არტელი არაფრით არ განირჩევა ნამდვილ ექსპლოატაციურ დაწესებულებისაგან. არტელს არავითარი პროგრესიული მიზანი არ აქვს.

**„ქარიშხალი".**

## წერილი რედაქციის მიმართ

„გაზ. „ჩვენი აზრის" № 24-ში სადგ. ყარაიაზიდან წერ ლია მოთავსებული, „აქაურ მეთვალყურეს" მიერ ხელმოწერილი, რომელიც თავიდან ბოლომდე სიყალბეზეა აშენებული. მეთვალყურე სწერს, რომ აქაურ მუშებში ცხოვრების მიმდინარეობის ფხიზლათ თვალყურის მგდებელი სანთლით საძებარიაო. ეს მართალი არაა, რაშიაც ყველა ადვილათ დარწმუნდება, ვინც კი აქაურ მუშების ცხოვრებას გაიცნობს. გაზეთებს არ კითხულობენო, სწერს მეთვალყურე. არც ესაა მართალი. მესამე ბრალდება უფრო საყურადღებოა. ბ. მეთვალყურე გვაბრალებს, რომ კარტის თამაშის გარდა აღარაფერი გვახსოვს. ცხადია, მას არც ამის დასამტკიცებელი საბუთი აქვს.

15 მოსამსახურის მინდობილობით

**პ. ჩ—ლი.**

—

გაზეთ „ივერია" № 27-ში დაბეჭდილია დეპეშა თლაშლისა, რომელიც ჩვენ შესახებ სწერს ცილის წამებას, თითქო 9 პარიკმახერს მიგველოს იმავე დღეს დამარხულ ამხანაგის ნათესავთაგან ერთი თუმანი და ამ ფულით გვექეიფოს ვერის ბაღებში. ნამდვილათ, 10 მანეთი მიიღეს ზოგიერთმა პარიკმახერებმა, მარა ამ 9 კაციდან, რომლებიც ვერაზე იყვნენ 7-მა უარი განაცხადა ამ ფულის მიღებაზე, აიღო მხოლოდ ორმა 50 კაპ. თითომ. დანარჩენი 9 მანეთი სხვა პარიკმახერებმა წაიღეს, რომელნიც ვერაზე ჩვენთან არ ყოფილან. და თუ ჩვენ ჩვენის ფულით სიამოვნება გვსურს, ნუ თუ ამის უფლება არა გვაქვს?

**დამსწრე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ლ. დადიშკელიანი.**

## მატარებლების მიმოსვლა

**(18 აპრილიდან)**

ფრჩხილებს გარეთ აღნიშნულია პეტერბურგის დრო, ფრჩხილებში თფილისისა.

**თფილისიდან გადის**

**ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 1, საღამოს 7 ს. 33 წ. (8 ს. 31 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 8 ს. 6 წ. (9 ს. 4 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 12 ს. 3 წ. (1 ს. 1 წ.).

**ბაქოსაკენ:** 1) სამგზავრო № 12, საღამოს 9 ს. 13 წ. (10 ს. 11 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 6 ს. 38 წ. (7 ს. 36 წ.).

**ბორჯომამდე:** 1) სამგზავრო № 7|8, დილის 9 ს. (9 ს. 58 წ.).
2) სამგზავრო № 910, ნაშუადღევის 2 ს. 30 წ. (3 ს. 28 წ.).

**ჯულფამდე:** საფოსტო № 74|75, ღამის 12 ს. 46 წ. (1 ს. 44 წ.).

**ერევნამდე:** სამგზავრო და საქონლ. № 78|79, ნაშუადღევის 4 ს. (4 ს. 58 წ.).

**მცხეთამდე:** მარტო კვირა-უქმეების წინა დღით და კვირა უქმეებში 1) სააგარაკო № 77, დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.).
2) სააგარაკო № 77a, ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

**თფილისში მოდის**

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი № 2, დილის 3 ს. 38 ს. (9 ს. 36 წ.).
2) საფოსტო № 4, საღამოს 9 ს. 40 წ. (10 ს. 38 წ.).
3) სამგზავრო № 6, დილის 5 ს. 50 წ. (6 ს. 48 წ.).

**ბაქოდან:** 1) სამგზავრო № 11, დილის 9 ს. 47 წ. (10 ს. 45 წ.).
2) საფოსტო № 3, დილის 7 საათ. 8 წ. (8 ს. 6 წ.).
3) სამგზავრო № 5, ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) სამგზავრო № 7|8, დილი 6 ს. 46 წ. (7 ს. 44 წ.).
2) სამგზავრო № 9|10, საღამოს 8 ს. 4 წ. (9 ს. 2 წ.).

**ჯულფიდან:** საფოსტო № 72|73, დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 26 წ.).

**ერევნიდან:** სამგზავრო და საქ., ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.).

**მცხეთიდან:** მხოლოდ კვირა-უქმეებსა და კვირა-უქმეების წინა დღის სააგარაკო № 76a, ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2. ს. 28 წ.). საგარაკო № 6, საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ..)

## განცხადებანი

## სპერმატინის და ალმეზას

**საწყობი** გადატანილია ვორონცოვის ძეგლის მახლობლათ, **ნეკრასოვის ქ. №14.** 30—17

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

## თ. კიკვაძე

**ამზადებს** ქალ-ვაჟთ **გიმნაზიებისა, რეალური, საკომერციო, მიწის მზომელთა და იუნკერთა** სასწავლებლებისათვის, **კადეტთა კორპუსისა, სამასწავლებლო ინსტიტუტისა, საბუხგალტერო** კურსებისათვის, **სახალხო სკოლის მასწავლებლათ და აფთიაქის ხაშეგირდოთ.**

**პატარა ბავშვების ჯგუფში** მიიღებიან **ანბანის უცოდინარი** ბავშვები.

**სპეციალური მომზადება ქართული გიმნაზიისათვის.**

**ადრესი:** ვერა, ოლღის ქუჩა ზემელის აფთიაქის ახლო, **№ 17.** (0—6)

ფ ე რ შ ა ლ ი

**ლ. ბ ა რ კ ა ლ ა ი ა**

უცრის ყვავილს, იღებს ყელჭირვებით, ხუნაგით და ვენერიული სენით ავათმყოფებს 3 საათიდან 6 საათამდე. **გოგოლის ქუჩა № 68.**

# პროვოდნიკის

## ამხანაგობა რიგაში

1888

1908 წ.

## საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის

## თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.

### იყიდება ნარდათ და ცალობით

დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ღრუბელი.
სავარცხლები რქის რეზინისაგან.

№ 4.

## ცალობით ვაჭრობა დედამიწაზე საუკეთესო

№ 2.

## გალოშების „პროვოდნიკისა"

(25—6.—25).